სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N 121

დაბა შუახევი **21 ივნისი 2018 წელი**

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მერის ფრიდონ ფუტკარაძის სახით, შემდგომში ,,შემსყიდველი", მეორეს მხრივ, შპს „ზურა-2012" წარმოდგენილი დირექტორის მირიან დავითაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის , სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N16 ბრძანებით დამტკიცებული„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-6 ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: **შუახევის მუნიციპალიტეტის სამთო იალაღებისთვის 3 (სამი)(ჩირუხი-2 ცალი, მაწყვალთის მთა 1 ცალი) ცალი ტრანსფორმატორების შესყიდვა, თანმდევი სამონტაჟო სამუშაოებით.**
(CPV31170000 - ტრანსფორმატორი) შესაბამისად მიწოდება, შემდგომში ,,საქონელი''.
1.2. ფასების ცხრილი თან ერთვის, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.3. მიმწოდებელი აწოდებს საქონელს, ხოლო შემსყიდველი იღებს საქონელს და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.
1.4. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.
1.5. საქონლის მიწოდების ადგილია **სამთო იალაღები ჩირუხი და მაწყვალთის მთა,** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირება **და თანმდევი სამონტაჟო სამუშაოები(უნდა მოხდეს საძირეების მონყობა სტანდარტების შესაბამისად და დამინება).**
1.6 SMP180001338

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 20284 (ოცი ათას ორას ოთხმოცდაოთხი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით
2.2. საქონელის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. შემსყიდველის მიერ მიღებული საქონელის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მოწოდებული საქონელის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, შესაბამისი სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.**
2.4. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ მოსაწოდებელი საქონლის ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.
2.5.შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა ან/და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუკავოს (გამოუქვითოს) მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხიდან და გადარიცხოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ესქპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.
3.2. საქარხნო დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვისგადასახდელი თანხიდან.
3.3 საგარანტიო პერიოდი შეადგენს 1(ერთი) წელს ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისადამიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშფაქტურაზე მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშფაქტურა.
4.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიური მიწოდების შემდეგ.

4.4. საქონელის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კომისია.

4.5. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების განხორციელებისას.

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სრულად მიწოდების შემდეგ, სასაქონლო ზედნადების, ანგარიშფაქტურის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება, საქონელის მიწოდების დასრულებისთანავე.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან **10 დღის ვადაში.**

გ) ყველა მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი (არამეორადი) .

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

6.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებებისშესრულებისაგან.

6.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება ორმხრივი შეთანხმებით, დანართის ფორმით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით)შეწყვეტისშესაძლებლობა.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქ მედება, თუ: ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს).

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულებისჯეროვანშესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

ვ)მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს; ზ)ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

7.მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1% არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში.

7.2. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0,02 % ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.3. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით საქონლის მიწოდების ვადების დარღვევისათვის შეუსრულებელი ვალდებულების (მიუწოდებელი საქონლის) 0,02 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.5. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

8.1. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

9.4. ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი ევალება **შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილ კომისიას.**

10. ფორს-მაჟორი

10.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

10.2.ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

10.4 ხელშეკრულების 10.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

11.5. ნებისმიერ ცვლილება, რომელსა მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.7. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის სახით ან ელექტრონული ფოსტით (სკანირებული PDFფორმატში) ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.8. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11.9. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.10 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან: ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი-მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.11. ფასების ცხრილი ერთვის ხელშეკრულებასდა წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. საქონლის მიწოდების ვადაა 10(ათი) დღე ხელშეკრულების დადებიდან.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან არაუგვიანეს 2018 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შუახევის მუნიციპალიტი	შპს „ზურა-2012“
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30	მის. დაბა შუახევი გოგებაშვილის #6
სახელმწიფო ხაზინა	სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TRESGE22	ბ/კოდი TBCBGE22
	ა/ნ GE78TB7044336050100001
საიდენტიფიკაციო კოდი: 247865145	საიდენტიფიკაციო კოდი: 447860547
მერი ფრიდონ ფუტკარაძე	დირექტორი მირიან დავითაძე
---	---

დანართი 1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	მწარმოებელი ქვეყანა/მწარმოებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი ₾	ჯამი,₾
1	ძალური ტრანსფორმატორი,10/0.4 კვ, 100კვა	უკრაინა, შპს" უკრელექტროაპარატ"	ცალი	3	6761.33	20284.00
მთლიანი ჯამი დღგ-ის გათვალისწინებით						20284.00

შპს "ზურა-2012" დირექტორი : მირიან დავითაძე

ზურა-2012
ZURA-2012
447860547
GEORGIA. LIMITED

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დაბა შუახევი 21 ივნისი 2018 წელი

ვადასტურებ, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის სამთო იალაღებისთვის 3(სამი) ერთეული ტრანსფორმატორის სახელმწიფო შესყიდვის(SMP180001338) განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერი: ფრიდონ ფუტკარაძე